ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №386944

ნომერი: AR183967

თარიღი : 04.10.2012

გაცემის თარიღი : 17.10.2012

გაცნობის თარიღი : 17.10.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , I და II მ/რ-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე გოდაბრელიძე პ/ნ 01005042839
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 7ბ ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2012 წლის 04 ოქტომბერს AR183967 განცხადებით ქ. თბილისისმერიის სსიპ თბილისისარქიტექტურის სამსახურს მომართამოქალაქე ალექსანდრე გოდაბრელიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანის დასახლებაში, I და II მ/რ–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.11.17.003.138) საზოგადოებრივი კვების ობიექტის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1(სსზ-1)-ში, ნაწილი კი, საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3)–ში.

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტის განთავსება, საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3)-ში, `ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, საჭიროებს სპეციალური

ზონალური ნებართვის მიღებას, სამსახურმა საკითხი, წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა 2012 წლის 10 ოქტომბრისკომისიის სხდომაზე (ოქმი #40) განსახილველად. «ზონალური» კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი კვების ობიექტის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის საკითხს. ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთი არასწორი გამოჯვნის შედეგად გახდა შეუსაბამო, რადგან გაჩნდა მისასვლელი გზის პრობლემა და მიეცა რეკომენდაცია, რომ მისი შემდგომი სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მხოლოდ მიმდებარე მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შემთხვევაში.
“ზონალური კომისიის” 2012 წლის 10 ოქტომბრის სხდომის ოქმი #40, პუნქტი #5-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ალექსანდრე გოდაბრელიძეს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანის დასახლებაში, I და II მ/რ–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.11.17.003.138) საზოგადოებრივი კვების ობიექტის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობებისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.